

დათო ბარბაქაძე

Fragmentarium V, VI, VII



გამომცემლობა *მერწყული*

თბილისი 2013

Dato Barbakadze

Fragmentarium V, VI, VII

First Edition

February, 2013

Tbilisi

Dato Barbakadze was born in Tbilisi in 1966. In 1984 he finished vocational school as a metal craftsman. In 1991 he graduated from Tbilisi State University, Department of Philosophy and Psychology. In 1992-94 Dato Barbakadze was PhD student at Tbilisi State University, Department of Sociology. In 1991-2001 Dato Barbakadze led academic courses in History of Philosophy, Foundation to Philosophy and Logical Thinking, published a literary magazine *The Philology and The Literature Newspaper*. In 2002-2005 he lived in Germany and earned for living as a freelance writer, thereby studying philosophy, sociology and ancient history at Munster University. His books are published in German speaking countries, some are translated into English and French, as well as in languages of post-soviet countries. Dato Barbakadze received prizes and literary scholarships outside Georgia. He is member of several international literary unions and societies. He published more than twenty books (poetry, prose, essays and translations).



Mertsuli Verlag
Tbilissi 2013

ISBN 978-9941-0-5264-4

FRAGMENTARIUM V

მეტად დროული პოეტური ანთოლოგია

განმარტება აქტუალური, უცვლელი პუბლიკაციისთვის

წინამდებარე ანთოლოგია მკითხველმა 2010 წლის 27 აგვისტოს მიიღო (მეტად დროული პოეტური ანთოლოგია, გამომცემლობა პოლილოგი, თბილისი, 2010, გამომცემელი დათო ბარბაქაძე). ანოტაციაში აღნიშნული იყო: „უსახსრობის გამო წიგნი გამოდის მხოლოდ ოთხ ეგზემპლარად და სამი ეგზემპლარი საჩუქრად გადაეცემა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას“. ანთოლოგიაში შესული ყველა პოეტური ტექსტი უკვე ცნობილი იყო მკითხველისთვის: ფირუზ (იგივე მამუკა) ჩხეიძე გასული საუკუნის 90-იან წლებში ბეჭდავდა თავის ლექსებს ჟურნალ „პოლილოგი“; აშუღმა ოგანეზა ახალციხელმა წარმატებით იასპარეზა 2007 წლის 21 თებერვალს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სსიპ „ირმის ნახტომის“ მიერ ერთობლივად ორგანიზებულ, დედაენის დღისადმი მიძღვნილ ინტერნეტ-ფორუმ-კონკურსში და თითქმის გაიმარჯვა კიდევ. დურმიშხან ტაბატაძის ლექსები კი ინტერნეტსივრცეში პირველად 2007 წელს გავრცელდა.

[2010 წლის 27 აგვისტოს გამოცემული ანთოლოგიის წინასიტყვა]

ძვირფასო მკითხველო, აგერ უკვე წლებია, რაც ქართული პოეზიის უბადლო ცას მიმოუფრენს მგოსანთა ერთი ჯგუფის ძარღვიანი და მამულის ტკივილით ბეჭდამშვენებული ლირიკა. ქართველი კაცის მარადიული სატკივრით აკვნესებული ჩანგის ნათელი მოსავს ამ ავტორთა ხმას და იგი ამაყად გაისმის ჩვენს გულებში. მკითხველმა

საზოგადოებამ იმთავითვე შეიყვარა და შეისისხლხორცა ის უშუალოა და სიცინცხალე, რომლითაც, როგორც ოკეანე წმინდა მარილით, გაჟღენთილია მათი თითოეული ლექსი, თითოეული სტრიქონი და თითოეული ასონიშანი. და რაოდენ სასიხარულოა, რომ მათი ხმა გაისმის იმ პოეტურ სცენაზე, რომლის ყოველი მეორე თუ არა, მესამე წარმომადგენელი მაინც დიდი პოეტია. დიდთა შორის დიდის გამოსავლენად კი ხალხის გულს უნდა ჩავხედოთ და იქ ამოვიკითხოთ ალალმართალი შეფასებანი, რაც პოეტური სიტყვის უტყუარი საზომი და სასწორია. როგორც ამქვეყნად ყველა დიადი პოეზია, წინამდებარე ანთოლოგიაც გაჯერებულია ემოციებით, ფეთქვებით, პულსაციებით, ხალხური ტრადიციებისადმი უსაზღვრო ერთგულებით და სემიოტიკურ გამჭრიახობათა ეგზისტენციალური გაწონასწორებებით, რომელთა ფენომენოლოგიური მუხტი უხვად ეფრქვევა ქართული ლირიკის იმ სცენას, რომელზე ჯიუტად ასული თითოეული ახალი პოეტი ახალ სიტყვას ამბობს და ახალი ჰორიზონტების მაუწყებელია. შენ, ჰეი, ორბების გადმოსახედიდან ამაყად მომზირალო ქართულო პოეზიავ, შენთვის მოუძღვნიათ ეს ანთოლოგია დღემდე მორცხვად განკერძოებულ, მაგრამ ძალუმად ახმიანებულ მგოსნებს. სიტყვა “ანთოლოგიაც” ხომ ეტიმოლოგიურად სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა “ანთებულ ლოგოსს” ანუ – ანთებულ სიტყვას, აბრიალებულ, დაკვესებულ, აალებულ, ცეცხლად ავარდნილ, კოცონად ანთებულ სიტყვას. “ლოგოსი” კი მართო სიტყვას კი არა, კანონზომიერებასაც ნიშნავს. დიას, მართლაც კანონზომიერია აქ წარმოდგენილი პოეტების ერთ ჭერქვეშ თავმოყრა, მათი პირწმინდა სიტყვის აღლუმი. და ეს - მიუხედავად იმისა, რომ სამივე მათგანი ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულ ხმის სიმებს ფლობს და ქართულ პოლიფონიაში ჰარმონიულად განზავდება. ერთ მუჭად შეკრული სამკუთხედის სამ ძლევამოსილ კუთხეს ქმნის მათი გმირული ბიოგრაფიაც, რომელიც სხვა არრა არის, თუ არა ვარდისფერ გზაზე წინ წამახული შუბ(ლ)ით სიარული. და ამ გზაწვრილზე პოეზიის თეთრი და მსუბუქად მოფარფატე მუხები იყონ მათი მფარველნი, აბა, ჰე!

ვაჟიკა უბნისელი

ფურუზ ჩხეიძე

ეფემერა

ეფემერული და ფერადი ქარების თანხლებით ქროდნენ ცხენების
შეჯიბრებაზე ჩემი ლურჯი ცხენები,
საუკუნეს ბევრს ჩაუვლია, მაგრამ მხოლოდ მე გამიხსენებენ, როგორც
პირველი წყების ნიაგარებით გაფრენილს.
სამწუხაროა, რომ ერთადერთი ვარ და ჩემი გზა და ლალის ახალი
კართაგენები ცაზე წერია.
ქროლვის გარეშე ჩემთვის ბედი არაფერს არ ნიშნავს, ლურჯი ცხენები
კი ჩემთვის ყველაფერია.
ეჭვი, ქაოსში დაკარგულს ქარი გამოძეკიდება ძახილით: გალაკტიონ!
ჩემი პოვნა კი ძალიან ძნელია.
სადაც ახლა ჯვარი და დაგვიანებული მტევნებია, იქ უკვდავი მაგის
მარმარილო აღიმართება.
მღვრიე უდაბნოეთის მაუწყებელი და მთებზე გადამართული ბევრი
ქარავანი გაიშლება.
ჩემში ერთი წვეთიც კი არაა არაქართული სისხლი, ნერვის ერთი
ძაფიც კი არაა არაპოეტის.
ო, რამდენი შურიანი თვალი დაბრმავდება იმის გამო, რომ ყოველთვის
საიდუმლო სილამაზით იმარჯვებენ:
ლექსების შეჯიბრებაზე – მხოლოდ ინტეგრალები, ცხენების
შეჯიბრებაზე – ისევ ლურჯი ცხენები.
აი, შორიდან დედამიწის გუგუნის ისმის, ელვა ელვაზეა მიკრული, ციდან
ღვარი მოედინება.
ცოდვით გადაბუგული ღუმელივით გაქრა უკანასკნელი საძიებლების
სევდიანი მიჯნა.
წამებმა აავსონ შეშლილი კიდეები და ველური ღამეები, ღამე მთვარეს
ჩაეჭიდოს.
სულს ისევ ეფემერული საზღვარი სწყურია, უსაზღვროებასავით
სწყურია სულს საზღვარი.
მითხარი, რას უნდა ნიშნავდეს ზენიტზე მღვარი შორეული პალმები?
წინ! იმ უსაზღვრობაში დარდს გაუძლებ.

მე იქ გამარჯობას ვეტყვი ჩემსავით ღიდ საიდუმლოს, იყოს ყველა
მხრიდან სივრცე, ხსნა კი – არსაიდან.
ო, არასოდეს არ მომიცლია უბრალო ხმებისთვის, გამოუცნობი
წყლულებითაა მსოფლიო დასერილი.
სიზმარეთის კოშკებს ნისლი გადაეცალა და განწირულ სულს იქით
მოუკურცხლავს.
ნეტავ ჯოჯოხეთის დარღმა თან წამიყვანოს იქ, სადაც ბალის ვარდები
მაისს კარგავენ.
როცა მოვარდნილი ქარი ცას დაემუქრება, პოლუსს მძიმე ქვის
ქუსლებს დავაბჯენ.
მდიდარი მემკვიდრესავით სავსე პეშვებით ვფანტავ ფანტასტიკურ
მკვლევლობებს და ივლისის ოცნებებს,
მღვრიე მშვენებისთვის ძეგლის ასაგებად წყევლით ვეშვები წარსულში
და მომავალში.
უყურეთ: პირველი მერიდიანი გამოჩნდა, ისევ დალუპვას ვეძებ და
სიბერეს დავცინი,
წარსულს ფოთლების იმედიანი გუნდი წყდება, გზები შემოდგომის
ქარვებითაა მოფენილი.
დაე, თამაშის და ბრძოლის ყურებით გავერთო, მზეების ორგია და
მთვარის მაგია იყოს,
მუდამ ხელებაღმართული ვიყო ამ ღრიანცელში მე, იმქვეყნიური
დარდით დამწვარი ლანდი.
წმინდა ემბაზივით დამრჩეს ეს საიდუმლო, როგორც ღამე გადაწყვეტს,
ისე მომექცეს ეფემერა.
ცხენების შეჯიბრებაზე! ცხენების შეჯიბრებაზე! ცხენების შეჯიბრებაზე
გასწიეთ, ლურჯო ცხენებო!

თოვლი

ძალიან მიყვარს ხიდიდან ქალიშვილივით გადმოწოლილი იისფერი
თოვლი,
ცივი სისველის მწუხარე გრძნობა და მოთმენილი სიყვარული.
ძვირფასო, სულს თოვლი მივსებს და ყოველი დღე სიბერესთან
მაახლოებს,

ჩემს სამშობლოში მე მხოლოდ ლურჯი ხავერდისნაირი უდაბნო
მოვიარე.

ოჰ, ასეთი ყოფილა ჩემი ცხოვრება: იანვარმა მიძმო,
მაგრამ თოვლივით მკრთალი შენი ხელები ყოველთვის მემახსოვრება.
ძვირფასო, ვხედავ, ვხედავ თოვლის დაფნაში უღონოდ დახრილ შენს
ხელებს,

შენი მანდილიც ხან გამოჩნდება, ხანაც ქრება ამ უდაბნოში...
ამიტომ მიყვარს ჩვენი მდინარის ხიდიდან გადმოფენილი იისფერი
თოვლი,
ქროლვის და მომავლის მწუხარე გრძნობა, და ერთმანეთზე მიწვენილი
ზამბახები.

თოვს. ასეთი დღის ხარებამ ლურჯი და დაღლილი სიზმარი დამათოვა.
იქნებ როგორმე გადავურჩე ზამთარს, იქნებ მიმატოვოს ქარმა.
გზაცაა, ნელი თამაშიცაა, შენ კი მარტო, სულ მარტო მიდიხარ.
მე თოვლი ისე მიყვარს, როგორც – ერთ დროს შენს ხმაში
გამჟღავნებული ფარული სევდა.

მაშინ მიყვარდა და მათრობდა თეთრად გაბროლებული მშვიდი დღეები,
შენს დაშლილ თმაში ჩერჩენილი მინდვრის ფოთლები და ქარით
აწეწილი თმები.

ახლა კი მწყურისხარ, ისე მწყურისხარ, როგორც – უსახლ-კაროს
სახლში ყოფნა.

თეთრი ტყეების გუნდი მიმაცილებს და საკუთარი თავის წინაშე ისევ
მარტო ვარ.

თოვს. ასეთი დღის ხარებამ ლურჯი და დაღლილი სიზმარი დამათოვა,
იქნებ როგორმე გადავურჩე ზამთარს, იქნებ მიმატოვოს ქარმა.

ანგელოზს გრძელი პერგამენტი ეჭირა

ანგელოზს გრძელი პერგამენტი ეჭირა და
მიწას მწუხარე თვალებით დაჰყურებდა.
ნახვამდის, ნახვამდის! ამაოდ დაგიჯერე,
აღმასის საყურეების ელვარე საღამოვ.
ოღესმე... ოღესმე აუცილებლად ახსენებთ

ჩემს სახელს, მლოცავო ბაგეებო, დიდებავ და ძეგლო,
შენს ფეხებქვეშ გრაალის კოშკებიც
დაილეწა, ლიდის სამრეკლოც, და გლოვა გავიგონე.
ოჰ, როგორ გაფითრდა ცის ბინადართა
შესაფერისი და საგანთა უარით გამოკვეთილი ოცნება,
ფერადი ღრუბელი და ტანმაღალი ალვა,
რომელსაც აზიის ცასთან ერთად გადაუფრინეთ.
ანგელოზს გრძელი პერგამენტი ეჭირა და
გაფითრებული ბარათიდან ფოთლები იპნეოდა.
ამოდ დაგიჯერე, და ერთმანეთიც ამოდ
გვდომებია! სამუდამო მშვიდობას გითვლი!
ქარვებით სავსე მორევში ვარდები ჩამოეშვა –
შეშინებული და მორიდებული საღამო აკანკალდა.
საღამო დაცხრა და ვარდები დაჭკნენ...
ნახვამდის. ნახვამდის. ნახვამდის.

ქებათა ქება ნიკორწმინდას

როგორც მინდა, ისე მაქვს მკერდზე ქნარი მიღებული.
დიდებული სხივი გამობრწყინდა ჩემთვის.
მკვიდრად ააშენა დიდი ნიკორწმინდა იმან,
ვინც ააშენა და ცით დაამშვენა იგი.

ნატავ ვინ აზიდა და რა ხელმა აზიდა მაღლა
გრძნეული ჩუქურთმებით მომხიბლავი,
ნაზი ჩუქურთმებით მოქარგული ნიკორწმინდა?

რა მხნე და მდიდარი განძი გვქონია,
გაისმის ჰარმონიის ჟღერადობა: “დარობს რამდი დარი”.
კარგად გამოუკვეთავს გამომკვეთელს,
სიბრძნით გამოუკვეთავს ძლიერი ნიკორწმინდა.

აქ რომ თაღები და სვეტთა შეკონებაა,

სიზმარში ნანახივითაა აშენებული.
ნეტა რა ნიჭის პატრონმა ააგო,
რა მადლმა ააგო ნიკორწმინდის სვეტი?

იგრძნობა, რამდენად ღიადია თორმეტი სარკმელი,
მათ ხაზებში მისარქმელი ცეცხლი ანთია:

ნეტა ვის მიერაა ანთებული?
ასეთი გრძნობით რომ აუნთია
და წლებისთვის ნათლად გადაუნდია ნიკორწმინდა?

ვხედავ, რა მდიდარია ხვეულთა დიდებულება,
დროს მისთვის კრძალვით შეუხვევია ჭრილობები.
ნეტა ვის მიერაა მოქარგული?
როცა მოუქარგავს, მომქარგველს შიგნით
გზნება “ნიკორწმინდა” მიუკარგ-მოუკარგავს.

ხაზების დაბოლოება მკვეთრი და მოქნილია,
სასიამოვნოა ასრულებული ნატურა.
ეს ის სიმკვეთრე და სიმდიდრეა,
რომლითაც ნიკორწმინდის ძეგლი მყარია.

შენს სულს ეროვნული აღმასვლა ანათებს:
გუმბათის ყელი მაღალღეროვანია,
ნებით და სათნოდ ცამდე აღერილი
გიხდება, ნიკორწმინდა.

ქართულია სივრცის მომცველი მზერა,
თვალი ფრთიანი ფასკუნჯებითაა გართული:
ფრთებს, ფრთებს მოითხოვ,
ჩვენც კიდევ ფრთებს მოვითხოვთ,
ნიკორწმინდავ, სივრცეზე ბატონობა მოგდომებია!

დროთა სიმაღლეზე ფრთამოლულუნეს
შენ ჩვენი ახალი საუკუნე გპატრონობს:
ძლიერი ხელოვნება, ხალხის ხელოვნება –
ნიკორწმინდა საქართველოს სანაქებოდ ბრწყინავს.

გუთნისდედა

ლაბავ, მე და შენ ერთ ბედში ჩავვარდნილვართ,
ჩვენი წილი შავი მიწა გამხდარა.
ჩვენი ჭაპანი ერთგულად უნდა ვჭიმოთ,
დღეები უსიხარულოდ დავლიოთ,
ბელტი ბელტზე წავაწვინოთ
და მიწაზე შრომის ოფლი ვღვაროთ.
ნუ დაღონდები, შენი უღელი
ჩემს უღელზე მძიმე არაა:
მეც შენსავით მიწას თვალებით დავყურებ,
ვინაიდან ცა ძალით წამართვეს;
შენსავით მეც ისე მელის მიწა, როგორც მსხვერპლს,
სიკვდილის მერე დასავიწყებელს.
შენ რომ პირუტყვი ხარ და მე მეტყველი?
შენ ეგ არ შეგშურდეს.
რაში მჭირდება მჭრელი ხმალი,
სიმართლეს თუ ვერ მოემსახურება?
აბა, ისეთი გუთანი რას გვარგებს,
მარტო მიწას რომ აჩეჩავს
და ძირიანად არ ამოთხრის იმ ბალახს,
რომელიც თესლის ამოსვლას აფერხებს?
მე ჩემი ჭირის, მწუხარების,
ჩემი ადამიანობის, აფორიაქებული გულის
სიტყვები გულში მებადება,
მაგრამ გულშივე უხმოდ კვდება.
შენთვის მეტყველის ტანჯვა გაუგებარია, -
როცა ის სიმართლის სიტყვას გულში იკლავს...
დამიჯერე, ლაბავ, ჩემი უღელი
შენს უღელზე უფრო ძნელია.
მაშ, რატომ ხარ დაღონებული? გასწიე ჭაპანი
და გუთანი ბოლომდე გაიტანე,
ძველ ამხანაგს არ უღალატო,
ის შენ აცხოვრე, მან კი შენ გაცხოვროს.

რატომ მიყვარხარ?

რატომ მიყვარხარ? იმიტომ, რომ ეს
სიყვარული ჩემს თვალში ცრემლს წარმოშობს;
იმიტომ, რომ ეს გული უფრო სასტიკად
ებრძვის ჩემს გამტანჯავ ბოროტ ბედს.

რატომ მიყვარხარ? იმიტომ, რომ შენს თვალს
ჩემი გულის ცეცხლი ცრემლს ვერ უდნობს,
იმიტომ მიყვარხარ, რომ ტანჯვას მომაგებ,
ტანჯვით კი – სრულყოფილ სიცოცხლეს.

ელეგია

მშობელ ქვეყანას სავსე მთვარის მკრთალი ნათელი გადმოჰყურებდა,
ხოლო მთებს შორის, სივრცის ლაყვარდში, თეთრი ზოლი იკარგებოდა.

არსაიდან არ ისმოდა ხმა ან ძახილი. გამჩენი გაჩენილს არაფერს
მეუბნებოდა.

ზოგჯერ კი ქართველის ძილში ტანჯვით ამოძახებული კვნესა გაისმოდა.

ვიდექი მარტო... და მთების ჩრდილი ისევ ჩემი ქვეყნის ძილს ეფერება...
ოხ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი, როდისღა გვეღირსება

გალვიძება?!

პოეტი

იმიტომ არ ვმღერივარ, რომ გარეული ფრინველივით ვიმღერო.
ცას ქვეყანაზე მხოლოდ ტკბილი ხმებისთვის არ გამოვუგზავნივარ.
მე, ზეციერს, ცა მნიშნავს და მიწიერი ერი მზრდის,
ღმერთთან იმიტომ ვლაპარაკობ, რომ ერს წინ გავუძღვე.

გულში იმიტომ ღვივის დიდი ღმერთის საკურთხევლის ცეცხლი,
რომ მწუხარებასა და სიხარულში ერის მოძმე ვიყო.
ერის წყლული წყლულად უნდა მაჩნდეს და მისი ტანჯვით სული
მეწვოდეს,
მტკიცე გული მისი ბედით და უბედობით დამეთუთქოს...
თუ მაშინ ცის ნაპერწკალი გულში ცეცხლს ამინთებს,
მაშინ ვიძღვრებ, მხოლოდ მაშინ მოვწმენდ ერს ტანჯვის ცრემლს!

* * *

გახსოვს, ტურფავ, მე და შენ ჩვენს დიდ ბაღში ერთად რომ
დავრბოდით?

ნეტა იმ დროს! სიყვარულის მეტს არაფერს არ ვგრძნობდით.
შენ ქორთა ვარდი მოწყვიტე, შენს საყვარელს გადმომიგდე და მითხარი:
“ჩემო გიჟო! ეს ჩემგან სახსოვრად გქონდეს!”

ან შენ მაშინ რა იცოდი, ან შენმა გიჟმა რა იცოდა,
რომ იმ ვარდზე ადრე შენი სიყვარული დაჭკნებოდა.

გახსოვს, ტურფავ, იმავე ბაღში ჩემს მხარზე თავი რომ გქონდა
ჩამოყრდნობილი?

შენ ჩემს სუნთქვას ყარაულობდი, მე კი – შენს წმინდა სუნთქვას.

დაგყურებდი, ველარ გავძელი და ლოყით კოცნა მოგპარე;

შენ შეკრთი და ლამაზი თითით ღიმილით დამემუქრე.

ან შენ მაშინ რა იცოდი, ან შენმა გიჟმა რა იცოდა,

რომ ის კოცნა ბოლოს გესლიანად შემეცვლებოდა შენი გმობით.

ბაზალეთის ტბა

ბაზალეთის ტბის ძირში თურმე ოქროს აკვანია,

მის ირგვლივ კი, წყლის ქვეშ, უცხო წალკოტი ჰყვავის.

წალკოტი ყოველთვის მწვანეა, თურმე არასოდეს არ ჭკნება,

არც ქვეყნის დროთა ტრიალს ემორჩილება.
მის მწვანეს, თურმე, ვერაფერს აკლებს ვერც სიცხე, ვერც – ზამთარი,
მის მზიან ჩრდილებში კი ყოველთვის გაზაფხულია.
წალკოტის შუაში ის აკვანია დასვენებული
და ადამიანებიდან იქ ჩასვლა ჯერ ვერავის გაუბედავს.
იმ აკვანს თავზე მხოლოდ სირინოზები ეხვევიან,
მხოლოდ ეს გრძნეულები დასტრფიან და უძღერიან...
ამბობენ, იქ ის აკვანი თამარ დედოფალს ჩაუდგამს
და ერს თავისი ცრემლების დენით ტბა კარავივით გადაუფარებია.
იმას კი არ ამბობენ, კარავში ვინ წევს,
ან თვითონ ერმა თავისი ცრემლი ზედ რატომ დაადინა ტბად...
იქნებ აკვანში ის ყრმა წევს, ვისი სახელის თქმაც არ შეიძლება?
ვისაც დღე-და-ღამ ნატრობს ქართველი ჩუმი ნატვრით?
თუ ეს ასეა, მაშინ ნეტა იმ სახელოვან ვაჟკაცს,
ვისი ხელიც პირველად დასწვდება იმ აკვანს!
თუ ეს ასეა, ნეტა იმ სახელდებულ დედას,
ვინც იმ ყრმას პირველი მიაწვდის მადლით ცხებულ თავის ძუძუს!

* * *

ი აიე აე ოიოე ა
იააე ე იააე ა

ო ოო ოუი უაეა ე
იაიე ა იაიე ე

იი აი აი იუეა ა
იაიე ე იაიე ა

იე იე იე ეი ეა ა
იაიე ი იააე ა

ატმის რტოლო...

აი ოლო ააულო ოლო
აი ოლო იიეა ოლო

აიანი ოლო აიოლო
აიეი აი იი ოლო

ოა ა ი უ იეე უი
ა იანი ო ა აი იი
ააუი აიი ა უი
აი იი აი იი იი

ააეე აანი აი
ეა აა ეა იი ოა
უ ააი ო ააი აი
აი ოლო ააულო ოლო

ათოვდა ზამთრის ბაღებს

აოა აი აე
მოა აი უო
ა ია აიეე
ააეიი აი
ა იო უაუი
უაო უიუო
იო აიე უო
ოეი აუაი
აეე აუაე
აოა აი აე

26 ჰოკუ

*

სუნთქვის ხმა შეწყდა
და შეეშინდა.
ახლა ინატრა მეზობელი.

*

ატირებულ-აცრემლებული
ახოში ჩავედი,
იქ დედაჩემი ფუნას ხვეტავდა.

*

ბედად ვილაც თავისიანს გაეცნო და
გაეკიდა
უცხო მხარეში.

*

დეიღამ დაანახა ნაილეს აბდი
და აბდის – ნაილე.
ამაზე მეტის გაკეთება მაშინ აღარ მოხერხდებოდა.

*

მთებში უკვე დიდი თოვლია.
ახლა ქვეიდან,
დიდი გზით ამოვლენო.

*

გაკვირვებით შეხედა თევზთა სიმცირეს
და ჰკითხა:
რა უყავი შვეიცარიული ყველი?

*

დაკეტეს კარი
და ყური დაუგდეს
კიბეზე ჩამავალი კაცის ფეხისხმას.

*

ათას ცხრაას ოთხმოცდაცხრა წლის
ჩვიდმეტი მარტის
სალამო იყო.

*

ის მიდიოდა ისე,
როგორც ადამიანი,
რომელიც სახლში მიიჩქარის.

*

ხელით ანიშნა,
გამომყევით,
და უნძოდ გატრიალდა.

*

ციცაბო ნაპირის გასწვრივ,
თეთრი არყების ხეივანში,
ზოზინით გაირწნენ ჭრიალა ფორნები.

*

საფანტით უფრო ადვილია,
მაგრამ სანდრომ იმ დღეს რატომღაც
ჟაკნით გატენილი ვაზნები წაიღო.

*

გორაკებს იქით ცა გაბრწყინდა.
ციმბირი თითქოს ერთბაშად გამოჩნდა.
ერთბაშად გამოჩნდა ვეებერთელა სამყარო.

*

ვერ გაიგებდი,
ეძინა თუ ეღვიძა.
გარეთ აპრილის მზე იღვრებოდა.

*

ხორციტ გაავსეს სახაშლამე ქვაბი.

მეზობლებში მოიკითხეს
დაფნის ფოთოლი.

*

მშვიდად,
ძალიან მშვიდად მითხრა:
- წადი, დაიძინე...

*

თეთრი საზაფხულო ქუდი,
რომელიც მისალმების დროს მოიხადა,
არ დაუხურავს.

*

სუპიც მედგა და სუპის გვერდით –
ბრინჯისა და ვერმიშელის პუ...
პუ-დინ-გი.

*

წყნარი კაცი იყო.
ასე შემორჩა
იგი ჩემს ბავშვურ მეხსიერებას.

*

ფეხზე წამოვვარდი.
მოვტყუვდი.
ვიღაცამ ჩემს კარს ჩაუარა.

*

დიდი ბელადი
ძველებურად გადმოგვცქეროდა
თავისი ნათელი და კეთილი ღიმილით.

*

ბინდი ჩამოეშვა. ცხენები დავტოვეთ.
წინ ერთი კაცი წავიდა,
ას მეტრზე მეორე მიჰყვებოდა.

*

ოქტომბრის წყნარი საღამო იდგა.
ამდენი ხალხიც
ალბათ ამიტომ მოაწყდა პანაშვიდს.

*

წყნარი დღე იყო.
ეზოში ბავშვები
დაჭერობანას თამაშობდნენ.

*

კარი გავწიე.
რამდენიმე ნაბიჯის იქით
დირექტორის კაბინეტი უნდა ყოფილიყო.

*

რა მოწიწებით შემინახავს მაღლობები და სიგელები,
ჩემი ფიქრით, პატიოსანი, ერთგული შრომისთვის
დამსახურებული.

აშული ოგანეზა ახალციხელი

ლექსი ქართული

მშობელო ენავ, რა კარგი ხარ, გადაჭიმულო
ნიკოფსიიდან დარუბანდამდე,
ჰეი, მშობელო ენავ,
შენ მტრებმა რა დაგაკლეს?
არაფერი ვერ დაგაკლეს,

მე შენ მიყვარხარ, მშობელო ენავ,
შენთან ერთად ავიდგი ხელ-ფეხი,
დედა ჩემი - ქართველი, მამა ჩემი - სომეხი,
ჩემი სამშობლო გამჩენელი - საქართველო,
ო, დედაო, ო, მამაო, ო, ენებო ჩემებო!
დაე, მოკვდე შენ, თაო ჩემო,
შენი მშობელი ენები არ მოკვდებიან,
განა აშული საათნოვა მოკვდება?
განა ბარათაშვილი მოკვდება?
განა ყაჩაღებს არაგვზე თავბრუ არ დაეხვევათ?
მე შენ გიმღერი, ჩემო არარატო!
გადადგით მთები, გადმოდგით მთები,
სამშობლო მაინც სამშობლოა!
ახალციხელი ბიჭი ვარ და თბილისში მოველ,
რათა გიმღერო, ჩემო ქვეყანავ!
თაო ჩემო, ახალციხელო!

ლექსი ქართულ კაცობაზე

მე კაცი ვარ და ქუდი დამიხურია კიდეც ამ ჩემ თავზე!
მე ქართული ქუდი მახურია და ვენაცვალები ჩემ სამშობლოსა!
მე ვის დავემონები? არავის დავემონები!
მე ვის დავიმონებ? არავის დავიმონებ!
მე წავალ და ყვავილებს დაგიკრიფავ, ჩემო ენავ სომხურო!
მე წავალ და ხეებს დაგიპუტავ, ჩემო ენავ ქართულო!
თქვენ მე გამაჩინეთ და მაღლობა ჰაოსს, მაღლობა ქართლოსს,
მე მოძმე ერების შვილი ვარ და გულში სიყვარული ამიდულებია!
თუ გინდა კაცად კაცი იყო, ენები არ უნდა დაივიწყო არც შენი, არც
სხვისი!

ისწავლე ენები და შენ თვითონ იქნები ნასწავლი!
თუ ქუდი გინდა გეხუროს, შეგიკეროს ეს ქუდი დედამ!
თუ ფეხსაცმელი გინდა, შეგიკეროს შენ იგი მამამ!
მაგრამ თუ გული გინდა გქონდეს კაცური, მაშინ კაცი იყავ
მშობლიური!

მე ჩემს ენას დავემონები, აი, ვის დავემონები!
მე ჩემს მამას დავემონები, აი, ვის დავემონები!
აი, ვის მოვუხდი ქუდსა, დედის შეკერილსა!
აი, ვის გავუხდი ფეხსაცმელსა, მამის შეკერილსა!
და ვივლი გალაკტიონის ეზოში დანამული ფეხებით
და სველი წინდებით მე, ახალციხელი ოგანეზა.

ბალადა ქართულ იმედზე

მე იმედი ვარ ჩემი ქვეყნისა, საქართველოსი! მე იმედი ვარ მისი მთა-
ბარისა!
მე ისე გიმღერ, ჩემო სამშობლოვ, როგორც მე ეს შემიძლია ამ ჩემი
ენით.

ქართველი დედა მეუბნებოდა ბავშვობაში, გიყვარდესო სომხური ენა!
სომეხი მამა მეუბნებოდა ბავშვობაში, გიყვარდესო ქართული ენა!
აი, მე ასე ვიზრდებოდი და გავიზარდე კაცურ კიდევაც!
სკოლაში ჩემი მასწავლებლები მაყვარებდნენ ყაზბეგის ენას!
შემოვიარე სომეხთა მზარეც და მე იქ მითხრეს, ჩვენთან დარჩიო,
მე კი ვუთხარი ბოროტ ენებს, საქართველოს რა ვუყო მეთქი,
მშობლიურ ენას რა ვუყო მეთქი! აი იას რა ვუყო მეთქი!
მითხრეს, რომელი საათნოვა შენა მყავხარო!
მე ვუთხარი, საათნოვა ამ ჩემ თბილისს უმღერდა მეთქი!
იმათ მითხრეს, მერე შენ ხომ საათნოვა არა ხარო!
მე ვუთხარი, საათნოვას გული ჩემ გულში ზის მეთქი
და საქართველოსკენ გამოვქანდი, სადაც აი ია მელოდებოდა,
სადაც ჩემი ილია ჭავჭავაძე მელოდებოდა ფიროსმანთან ერთად
და მე გულში ვმღეროდი თბილისის ხონხებზე ლეგენდას
და მე ვმღეროდი ვახტანგ მეფეზე ლეგენდას,
მე ვმღეროდი ამას სომხურად, მე ვმღეროდი ამას ქართულად,
რადგან დედაჩემი ქართველია, რადგან მამაჩემი სომეხია
და რადგან ორივე მიყვარს იმათ მშობლიურ ენასთან ერთად!
გატეხე ქართველო კაცო პური, და თქვი: დედას პური!
გატეხე სომეხო კაცო პური და თქვი: ლავაშ!

განა ამით რა შეიცვლება, პური პურია, ენა ენაა,
მთავარია ამ ენაზე რას ამბობ და როგორ მღერიხარ,
უფრო მთავარი კი ის არის, რომ ვის უმღერიხარ!
მე კი ჩემ მშობელ საქართველოს ვუმღერივარ
და ვუმღერებ უკვდავებამდე! ჯან!

ლექსი ქართველთა და სომეხთა ძმობისა

ხელში ავიღებ მე დიპლიპიტოს,
რათა შევაქო მშობელი ენა,
ანი და ბანი, განი და ღონი,
ენი და ვინი, ვინი და ენი.

და შევფრინდები ენის წიაღში,
რომ მე ვადილო ქართული ძარღვი
და არარატის მაღალი მთიდან
მე ბანი ვუთხრა კაკკასიონსა.

ისიც დასჭექებს ქართულ სიტყვასა
და ეს ორი ძმა ერთად შეხვდება
სევანის ტბაზე მშობლიურ ენის
ღიად ზეიმს და გახარებასა.

დაჰკარ დაირავ, ზურნავ ჩაჰბერე
და შენც ჩონგურე ხმა ააკვნესე
მოძმე ერების ჭირ-ვარამზედა,
რომელიც ერთად გამოუვლიათ.

სუნდუკიანის დიადი ენა
რუსთველის ღიად ენას შეხვდება
და ძმურად წავლენ ისინი ერთად
კინოში, სადაც „მიმინო“ გავა.

და ჰა, გამოჩნდა იქ კიკაბიძე,
ფრუნზიკას სულიც საიქიოდან
უცებ მოვარდა და ერთად მიქრის
მათი მერანი დედაენისა.

აქვე მეეტლეს ძველი თბილისის
ახალ თბილისის მომღერალია,
გალაკტიონი ისააკიანს
სადმე ღუქანში ეპატიჟება.

მერე ისინი დილამდე სვამენ
და უკითხავენ ერთმანეთს ლექსებს,
ერთი სომხურად, ხოლო მეორე
თავის დიდებულ ქართულ ენაზე.

მერე ავლაბარს გადახედავენ
და სომხურ თეატრს ესტუმრებიან,
იქ კი ქართული სპექტაკლი გადის
ძაან ჯიგრულად, ძაან გიჟურად.

ორი ჭადარო, წყვილო ჭადარო,
ერთო ქართველო, მეორ სომეხო,
არარატზე და კავკასიონზე
თქვენი ვალა ერთად იმღეროთ.

და ოგანეზაც, ეს თქვენი შვილი,
თქვენთვის აჟღერებს დიპლიპიტოსა,
რომელიც დედამ გამოუთალა
და მშობელ მამამ მოუჩუქურთმა.

ზოტბანი მშობელ ენებსა

ენა, მამულო, სარწმუნოებაკ,
თქვენ გაიხარეთ ამ ქვეყანაზე,

რაც ბაზალეთთან ჩაგიფიქრია,
ჩემო სამშობლოვ, შენ შეასრულე.

მოგვაძებნინე ოქროს ბიჭუნა,
ქართული სიტყვის მანათობელი,
არც სასომხეთი არ დაივიწყო,
ის მამაჩემის არის მშობელი.

დაე, ჩამქოლონ კრიტიკოსებმა,
მე მაინც ვიტყვი საქებარ სიტყვას
ქართლოს-ჰაოსის და მათი ძმობის
და ჩემი ქვეყნის გაბწყინებისა.

მე მეხერხება მარტო სიმღერა,
ამიტომ ვამბობ სიტყვას ლექსებად,
თქვენ ნუ დამძრახავთ, ამ ჩემს ზურნასა
თუ დავაკვნესებ სამშობლოსთვისა.

მშობლიურ ენას ვუმღერ და ვუმღერ,
განა პრიზია ჩემი ოცნება,
მე გული მაშინ გამეფურჩინება,
როცა ვიხილავ ქართლის ღხენასა.

გემშვიდობები დედათბილისო
და მივაშურებ ახალციხესა
და ჩემს სოფელში მე მოვუყვები
ჩემს თანასოფლელთ ამ ჩემ ლექსებსა.

მე ნაღვლიანი მივყვები ქუჩებს
და დიპლიპიტოს ჩემსას ვუყურებ
და მე ჩემს ზურნას ჩემი სამშობლოს
ბედზე ფიქრებით ისევ ვაკვნესებ.

მთავარი არის, ენა არ ჩაქრეს,
მთავარი არის ენა დედისა
და მამის ენაც მთავარი არის,
და ვენაცვალე ჩემ ორ ენასა!

დურიმიშხან ტაბატაძე

ფიქრი

დაფიქრებული ვიდექ ჩემთვისა
და გავცქეროდი მე ლამაზ მინდვრებს,
ბაღში გალობდნენ ჩიტები ნაზად,
და ჩემი გულიც ხტოდა მათკენა.

ჰოი, რამდენჯერ მისეირნია
ასეთ მინდვრებზე ლაღად და კარგად,
მაგრამ არ ვიყავ მაშინ მარტოკა,
ჩემივე სატრფო მყვანდა გვერდითა.

ის დრო წავიდა უკვე ჩქარ-ჩქარა
და თან წაიღო მოგონებებიც,
ხოლო მე დავრჩი ამ ჩემს ფიქრებთან
და ქარს ვმეგობრობ მე ხანდახანა.

ასეთი არის ცხოვრება, ძმაო,
ამ ჩიტებივით ის გაფრინდება,
შენ კი დარჩები დავიწყებული
მეფე ღირივით ამ ბაღებშია.

მაგრამ თუ გინდა, ბედმა არ გჩაგროს,
უნდა შეგეძლოს შენ ღვინით თრობა
და ღრუბლებივით გადაგეყრება
დარდი, რომელიც გულში გრჩენია.

და მაშინ იტყვი: ვიმ, რა კარგია
ჭიქა ღვინო და გასეირნება,
თვალიერება გვირილებისა,
თავის ქნევითა რომ გესალმება.

ვიშ, რა კარგია ფოთლისა ცვენა
ამ ცხოვრებაში ფიფქებივითა,
როცა მეგობრობ შენ გაზაფხულთან
და ჩანჩქერიდან გიყვარს წყლის ლევა.

ნაბახუსევზე გაგახსენდება
ბიძა და ბებო, დედა და მამა,
ნეტავი ერთი საღ არიანო,
იფიქრებ უცებ შეშფოთებითა.

გაეშურები მყისვე ველიდან
მათ სანახავად შენ სახლისკენა,
ზურგზე ჩიტები მოგჭიკჭიკებენ
და გილოცავენ გზას შინისკენა.

გულისფანცქალით შეხვალ სახლშია
და შეიხედავ შენ ზალაშია
და თვალები რომ დაინახავენ
ყველას ერთადა, გულს უხარია.

და შენ მიხვდები მაშინ ჩუმადა,
რა ლამაზია, ისინი ერთად
მაგიდასთან რომ ზიან ტკბილადა
და წვნიან რამეს შეექცევიან.

და როცა საჭმელს შეგთავაზებენ,
შენ გაულიმებ ყველას გულითა
და ეტყვი იმათ მსუბუქ ზვირთებით,
რაც სამუდამოდ გიოცნებია:

დამალევინეთ მე ჭიქა ღვინო,
რომ დაგილოცოთ თქვენ ჯანმრთელობა,
და ვიდრე ისევ მომენატრებით,
ვიხეტიאלო ჩემ ბალებშია.

და ბაგენი რომ წითელ ღვინოსა
დაეწაფება მონატრებითა,

კარს გაალებ და გამოვარდები
შენ ბალ-ველებში სასეირნოდა.

და ჰა, შენ დგახარ დაფიქრებული
და გასცქერიხარ ლამაზ მინდვრებსა,
ბალში გალობენ ნაზად ჩიტები
და შენი სულიც მიხტის მათკენა.

ფორთოხალი

შენ მომაწოდე მე ფორთოხალი,
და რომ შევჭამე, მეგემრიელა,
ო, დღემდე მახსოვს გემო ფორთოხლის,
რომელიც მაშინ გამომიწოდე.

მე დარცხვენილმა გითხარ მადლობა,
შენ შემომცინე გაღიმებითა,
და მე დავკარგე წონასწორობა,
თავბრუ დამესხა გამწარებითა.

მას მერე რა დრო გასულა, ტურფავ,
რაც არ მენახე ამდენი ხანი,
არც ორი სიტყვა მსმენია შენზე,
მაგრამ ჩემს სულში იყავ ცოცხალი.

ახლა კი, როცა თვალები მოგკარ
მოულოდნელად კაფეში შენა,
ტვინმა იხსენა ის ფორთოხალი,
გამომიწოდე მაშინ რომ შენა.

უმაღ მოვიჭერ შენთან ფეხითა
და ერთურთს თვალი თვალში ვუყარეთ
და როცა ჩაწვდი საქმის მსვლელობას,

ჩემკენ შეჰკივლე ალტაცებითა.

მერე კი ვსხედით ჩვენ მაგიდასთან
და ვუყვებოდით ერთმანეთს ამბებს,
შენ შენს წარსულზე ლაპარაკობდი,
და მე კი ჩემზე ვყვებოდი ბევრსა.

ასე გავლიეთ ჩვენ ეს საღამო,
ბევრი მოვწიე სევდიანობით,
კვამლში ცურავდა ჩვენი სახენი
და გული ძგერდა, როგორც პეპელა.

და როცა მთელი ქვეყნიერება
ამ მე უბედურს ჩემი მეგონა,
უცებ ლოგინში გამომელვიდა
და მე დავბრუნდი სიფხიზლეშია.

უმალ ვუმზირე იქვე მაგიდას,
სადაც წინაღლით ვჭამდი ფორთოხალს
და დამრჩენოდა გადაუყრელი
მე ნაფცქვენები ფორთოხალისა.

და მაშინ მივხვდი, რომ გამქრალიყო
ჩემი ხილვები, როგორც პეპელა,
და ჩემს თავს ჩქარა ვუთხარი მწარედ:
ეჰ, სიზმარია ყოფა-ცხოვრება.

თბილისის სიყვარული

ოჰ, მიხარია ეს დედამიწა,
ფერად-ფერადი ჭრელ ფერებშია,
ფრანგი, გარმონით ხელჩაბლუჯული,

ჩინელი თავის კარგ კედებშია;

მონღოლი, ცხენზე შემოჯდომილი,
ხოლო ქართველი მწვადით პირშია,
გერმანელებსა შვენით წიგნები
და ამერიკელს გულში ფულია.

მე კი სამშობლოს ვენაცვალები,
სადაც ისრები გამისროლია,
ვის არ მოხიბლავს მისი ბუნება,
ია-ვარდი და ზამბახებია.

მე აფხაზეთში ჩამქოლონ დაე,
გამაპანღურონ სამაჩაბლოდან,
დაედოს მტვერი სამცხე-ჯავახეთს,
დააკვდეს აზრი საინგილოსა;

ჩემი თბილისი ხომ ჩემთან არის,
ჩემი ბადახში და უფრო მეტი,
მთავარი მაინც თბილისი არის,
განსაცვიფრებლად არის მთავარი.

ჩემი ქალაქის დედაქალაქო,
რამდენ ტურისტს მოგიხიბლია,
ძველი თბილისის ახლო კინტოვ,
შენ ერთს ვერ დაგთმობ სამარის პირთან.

ვერც შენ ვერ დაგთმობ, ვარაზისხევო,
მერე რაა, რომ ჭუჭყიანი ხარ,
ჩვენი ამაყი ქალებ-ვაჟები
შენს აღმართებზე აღი-ჩადიან.

გავექანები მეტეხის ხიდზე
და მე ვიყვირებ: თბილისი ჩემი!
სისხლს დავღვრი მისთვის, ჰეი, უწინამც!
მტერო ვერაგო, ჩქარა მოისპე!

ნარიყალადან ჩავქვეითდები
აბანოთუბნის რესტორნებშია,
იქაც დავჭეკებ: ჰეი, უწინამც!
და მიხარია თბილისელობა.

მაგრამ მე მიყვარს სხვა ნაციებიც,
თათარი ჩემი პირველი ძმია,
თურქეთი ჩემი მოძმე ერია,
რუსეთშიც ბევრჯერ გამიხარია!

მიწა ერთ დიდი რესტორანია,
სუყველა ერი სუფრაზე ზიან,
მაგრამ ქართველი მაინც სხვა არის,
ის უნდა იყოს მუდამ თამადა.

ღოღ-გარმონებში ვინ გამეჯიბროს!
ტაშ-ფანდურებში ვინ მყავს ტოლები!
მე ფესვიანი თბილისელი ვარ,
თბილისელობა ჩემი ბედია!

და შევარცხვინე მე ის ქართველი,
ვინც ისე წავა მამულეთიდან,
რომ არ იხსენონ ის მოძმეებმა
კაცად, რომელიც თბილისს დააკლდა.

ძირს ის ქართველი, თბილისის ბუნკრებს
ვინც ანაცვალოს სხვისი სამოთხე,
ვინც თავის ქვეყნის ვირობის ნაცვლად
არჩიოს სხვაგან მშვიდად ცხოვრება.

აქ და მხოლოდ აქ, მუშავ, შენ მიწყივ
მუშაკობდე და სახედარობდე,
მეომარო კი იგულოვნე და
დაეც თავზარი თბილისის უბნებს!

მიჯნურო, იყავ მარად მიჯნური,
ფულის კაცო კი აკეთე ფული;

ბოზო, იბოზე; ქურდო, იქურდე;
ჩემო სამშობლოვ, შენ გაიხარე!

წვიმა და გაზეთი

გარეთ წვიმაა, მე ვზივარ შიგნით
და წვიმის წვეთებს ვფლეთავ თვალებით,
იქ ჩემ თავისთვის მე მიმიგნია
და მე მას ვუმზერ, როგორც არაფერს.

როგორ გავფლანგე ჩემი ცხოვრება
დროსტარებაში და ღვინის სმაში,
ნეტა მეკითხა მეც გაზეთები,
როგორც ხალხები შობიან ამას.

ნეტა გამეგო, რა ხდება ქვეყნად
ყოველდღიურად ან თვეში ერთხელ,
გამოცანები ამეხსნა მიწის
და ცის ამბებშიც გავრკვეულიყავ.

ახლა კი უკვე გვიანი არის
ჩავწვდე ამ საქმის არსთა მსვლელობას,
მე უსაშველოდ დავიგვიანე,
როგორც არაგვზე ერთ დროს ზაფხულმა.

აგერ გაზეთნი ამ ჩემს სკამებზე,
ვფურცლავ და ვკეცავ, ვკეცავ და ვფურცლავ,
თითქოს მესმის და მაინც არ მესმის,
მესმის და მაინც არ მესმის თითქოს.
შენ, აფრიკელო ამაყო ბიჭო,
რომ შემომცქერი ამ გაზეთიდან,
იქნებ ოდინდელ შენს ცხოვრებაში
მეფე ერეკლეს ედექ მხარდამხარ.

შენ კი, ახლო კომკავშირელო,
ქართლის ბედზე რომ ამაყად სწუხხარ,
შენ ნდებუს ტომის ბელადი იყავ,
ახლა კი აზრზე არა ხარ, ვინ ხარ.

ეგ ძველი ბიჭიც, გვერდს რომ გიმშვენებს,
ეგ ალბათ ბანტუს ტომში ერია,
თორემ საიდან ამდენ საერთო
შორის ქართველთა და აფრიკელთა.

ან ეს გაერო რა ხილი არის
ან ევროწევრი რა ჯანდაბაა,
ძნელი ყოფილა უცოდინრობა,
როცა ვერ არჩევ ნეხვისგან ქლიავს.

ნეტა მეც ვიყო განათლებული
და თავი სავსე მქონდეს ცოდნებით,
გამოვიდოდი ტელევიზორში
და ავუხსნიდი მეც ხალხს ბევრ რამეს.

ვეტყოდი, როგორ უნდა მოიქცნენ,
არჩევნის ჟამი რომ დაუდგებათ,
ვის მისცენ დღეს და ხვალე ვის მისცენ,
სად როგორ მისცენ და როდის მისცენ.

მაგრამ ეჰ მოვრჩე მე ამ ოცნებას
ისა სჯობია წვიმას ვუმზირო,
მანც ვერ წავალ მსოფლიო ბანკში,
რომ ამოვუდგე მხარში მამულსა.

ერთ სიბრძნეს ვეტყვი მხოლოდ ჩემს თავსა,
არა დედ-მამის მიერ ნათქვამსა,
ოდენ იმასა, ოდენ იმასა,
ერთმა გაზეთმა რაც შემასწავლა:

არსებობს ჩქარი მატარებელიც,

არსებობს ნელი მატარებელიც,
არსებობს კვირის მატარებელიც
და მატარებელ-ექსპრეს-რაკეტაც,

მაგრამ რკინიგზა მათთვის ერთია,
ყველა საერთო ლიანდაგს ტკეპნის,
ჩქარ მატარებელს ვინც ვერ გასწვდება,
მოჯაყჯაყეში დაიღოს ბინა.

მანც იზრუნებს ეს გლობანური
დემოკრატია ყველა ჩვენგანზე,
ჩვენ მხოლოდ ტაში დავუკრათ კარგად
და გაზეთები ვიკითხოთ მალე.

ლოთიანი-დარდიანი

ინდე, მთა-გორებს მოხვდა მზის სხივი,
საწყალმა კაცმაც შეწყვიტა გორვა,
გამოიღვიძა ბუნებამ სწრაფად
და ფრინველებმაც გააბეს სტვენა.

მეც უმაღლ ფიცხელ შევხტუნდი მყისვე,
ბორკილნი შვებით შემოვიმსხვრიე
და გაუულიმე მზეს ყველა კბილით,
რომლებიც დღემდე შემომრჩენია.

გარეთ გამოველ სადარბაზოდან
და გავიზმორე ერთი კაცურად,
თითებში ვვარცხნე ჩემი ჭალარა
და ვთქვი, რა ვარგო მე ჩემს ქვეყანას.

ასე გავიდა წუთნი ფიქრისა
და როცა კვების დამიღვა ჟამი,

გულმა სიამით შემატყობინა,
წამო, ვუმტვრიოთ სახაშეს კარნი.

მაგრამ რაღაცა უცბათ აღუდგა
ვერაგ განზრახვას ჩემი გულისა
და უთხრა, განვედ ჩემგან მაცდურო,
სულ სხვა კაცი ვარ მე ამ დილიდან.

რა გეხაშება, რა გეხინკლება,
როცა სიცოცხლე ასე ზეიმობს,
რამე კარგ საქმეს მოემსახურე,
მაგალითები მიეც მოძმეთა.

მე აღარ მინდა მივყარ-მოვყარო,
თუნდაც დავჭყლიტო და მივანგრიო,
დავდგე გორაზე ყანყრატობის
და ვიღრიალო დევივით როგორც.

დავეტაკო და მივეტაკო და
მივაგლიჯო და მივათხლიშო და
დავფშენა და ჩავხოც-ჩავატილო
ვინც უნდა იყოს ეგ სულერთია.

ძირს პანღურები, კისრების გრეხვა,
რქებით მიწოლა და ასე შემდეგ,
მე ღმერთი ვიყავ და კაცად ვიქეც,
მე კაცი ვიყავ და ვიქეც ღმერთად.

ამოვუნგრიო? ყბა ჩამოვულო?
კბილნი ვულეწო? ნამწვები ვაწვა?
აღარასოდეს, ჩემო მამულო,
ვისო მამულო ეგ სულერთია.

დაე, დამტანჯოს უსაქმურობამ,
დაე, დამადგან გულღვიძლზე ფეხი,
მე აღარ ვავენებ ჩემს სამშობლოსა
და არც ის მავნებს არასდროს მეცა.

მაგრამ თუ ვინმემ გამიბედა და
მე ამ საქმეში წინ გადამიდგა,
ისეთ საბრძოლო ყიჟინას დავცემ,
მიცვალებულსაც გაეცინება.

სამშობლოვ, შენი ყოველი მტერი
მე მომიშვირე, ნუ გეშინია,
დავცხებ და დავცხებ, მივჩეხ და მოვჩეხ,
გავკრავ, გამოვკრავ, დავკრავ და მოვკლავ.

სახეზე ბოთლებს, ჭიქებს და კოვზებს,
ჩანგლებს და თეფშებს მარჯვედ მივაფშვნი,
ო, ნევენმორა, ო, ნევენმორა,
ქვებს დავახურავ თავზე ტიალსა.

სულ სხვა კაცი ვარ მე ამ დილიდან,
ყურებს დავაჭრი, ძუძუს ავახევ,
სიფათს მივუნგრევ, ზურგს გადავუმტვრევ,
ვის გადავუმტვრევ ეგ სულერთია.

ეგ სულერთია რატომ და რისთვის,
შენ მარტო მითხარ, ჩემო სამშობლოვ,
თითი დაადე და ვისაც გინდა
ზურგს გადავუმტვრევ, სიფათს მივუნგრევ.

ჩავხოცავ, როგორც მარაბდის ველზე
და ანდა როგორც ბოროდინოსთან,
მე არ მოვმკვდარვარ, მე მხოლოდ მძინავს
და ძილში ხანჯლებს და თოფებს ვხედავ.

არჩევანი შენა

უსმინე, ჩემო ძმობილო,
ღურმიშხანისა მცნებასა,
ყურნი დაუგდე სწავლასა,
ნაწრთობსა ბევრი ფრენითა.
აწ არჩევანი შენზეა,
გაქვს უთვალავი ფერითა,
ძირი მწარეა, კენწერო
გაგიტკბილდება ლხენითა.

ეპოიდების მიღების
შედევად გამოწვეული
ქცევითი აშლილობანი,
პოსტკომოტური სინდრომი.
შიზოფრენიისმაგვარი
ბოღვითი დაავადება
ან თუნდაც რეტის სინდრომი,
შენა გსურს აწ რომელია?

ემოციურად ლაბილუ-
რი ორგანული დარღვევა,
მსუბუქი აშლილობანი,
კატატონური დარღვევა.
დელირიუმი, რომელიც
თან ერთვის დემენციას და
ისიც, რაც ყველას დაგვერთვის,
შენა გსურს აწ რომელია?

სედატური და საძილე
საშუალებების მიღების
შედევად გამოწვეული
ქცევითი აშლილობანი.
ბიპოლარული აფექტუ-
რი აშლილობა, პარანო-
იდული შიზოფრენია,

შენა გსურს აწ რომელია?

ჰებეფრენული და იქვე
კატატონური და იქვე
პრეფსიქოზური და იქვე
ციკლური შიზოფრენია,
გვიანი პარაფრენია,
პროდრომალური და თუნდაც
მოსაზღვრე შიზოფრენია,
შენა გსურს აწ რომელია?

კატატონური სტუპორი,
ანანკასტური ნევროზი,
სულაც პრედომინანტურად
კომპულსიური ქცევები.
მწვავე და გარდამავალი,
ბოღვითი აშლილობანი,
მარტივი შიზოფრენია,
შენა გსურს აწ რომელია?

სენტიზიური ბოღვა და
ფსიქოგენური ფსიქოზი,
ან სულაც პარანოიის
ყვერულანტური ფორმა და
სინდრომი ასპერგესისა,
იქვე დისმორფოფობია,
